პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 55 (4049)

1970 წ. 19 მარტი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სისწრაფე, სისწრაფე...

ბაკურიანი. სხვაგან სადაა ისე იოლი მისასვლელი, სად ნახავთ ამდენ დათოვლილ ფერდობს, სად ისრიალებთ ამდენს თხილამურებითა და ციგებით? სისწრაფე ახალგაზრდების გატაცებაა და ისინიც სწორედ აქ ეჯიბრებიან ერთმანეთს: ვინ უფრო მოხდენილად დაეშვება, ვის მეტი მოქნილობა, ამტანობა და ზუსტი თვალი აქვს.

ბაკურიანში ყოველ წელიწადს ტარდება რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირები. სულ უფრო იზრდება ინტერესი გიგანტური და სპეციალური სლალომისადმი, სწრაფდაშვებისადმი, სრულყოფილი ხდება ინვენტარი, რთულდება ტრასები.

ციგებით დაშვებაში წლევანდლამდე, ასე ვთქვათ, შინაურული, სტიქიური შეჯიბრებები ეწყობოდა მოსწავლეთა თუ სტუდენტთა არდადეგების დღეებში. წლეულს პირველი, თუმცა საჩვენებელი, მაგრამ მაინც ოფიციალური შეჯიბრებაც ჩატარდა.

მაგრამ მოუსვენარ ახალგაზრდობას არსებული ინვენტარი აღარ აკმაყოფილებს. წარსულში ცნობილი ველოსიპედისტის, ამჟამად ტრეკზე მრბოლელთა რესპუბლიკური ნაკრების უფროსი მწვრთნელის გ. თელიას თაოსნობით დაამზადეს დასავლეთში უკვე პოპულარული „სკი-ბობის" მსგავსი ინვენტარი, რომელმაც გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. ბაკურიანში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ველოსიპედისტები თვითნაკეთი „სკი-ბობით" მთიდან ხშირად ეშვებოდნენ, რაც მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

მწვრთნელმა გვითხრა:

— ჩვენი „სკი-ბობი" საკმაოდ სწრაფი გამოდგა და საათში 70-80 კმ სისწრაფის განვითარების საშუალებას გვაძლევს. ეს ნაკლებია სამთომთთხილამურეთა სისწრაფეზე, რომლებიც საათში ზოგჯერ 140-160 კილომეტრს აღწევენ, მაგრამ, როცა „სკი-ბობის" შევერჩევით, შედეგიც უკეთესი იქნება.

• • •





სურათებზე: ზევით — თხილამურებით ფინიშისკენ მიჰქრის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის ოსტატი გ. ჭიჭილევი; ქვევით — „სკი-ბობით" ეშვება საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრების მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. თავაძე.

ტექსტი და ფოტო ო. გელაშვილისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## ფინელებმა დაამარცხეს შვედები

სტოკჰოლმი, 17 მარტი. ერთი დღის შესვენების შემდეგ დღეს განახლდა მსოფლიოს 37-ე ჩემპიონატის მატჩები შაიბიან ჰოკეიში. სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრაზე ჩვენ წინა ნომერში დავბეჭდეთ ცნობა, დანარჩენ ორ თამაშზე კი ახლა მოგითხრობთ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გდრ-ის წარმომადგენლებს შეხვდა. მართალია, გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა (4:1), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ იოლად მიაღწიეს მიზანს.

ნამდვილი სენსაცია გახლდათ შვეციისა და ფინეთის გუნდების მატჩის შედეგი. საბჭოთა ჰოკეისტებთან მინიმალური ანგარიშის წაგების შემდეგ ფინელებმა იოლად სძლიეს პოლონელებს. უკვე ამ ორ მატჩში იგრძნობოდა, რომ ფინეთის ნაკრები ძალიან კარგად მომზადებულა ჩემპიონატისთვის, რაც ამ შეხვედრამაც დაადასტურა. შვედები დამარცხდნენ — 1:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 21—2 | 6 |
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 13—4 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 0 | 1 | 14—9 | 4 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 12—8 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4—22 | 0 |
| გდრ | 3 | 0 | 0 | 3 | 3—22 | 0 |

## „500-ანთა" კლუბის ახალი წევრები

მინსკი, 17 მარტი. „მეგობრობის თასზე" ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ორმა დღემ რეკორდებით ვერ გაგვახარა, მაგრამ უკვე მესამე დღეს საკავშირო რეკორდი დამყარდა ქვემძიმე წონაში. მაგრამ ამ წონის ძალოსანთა ასპარეზობის დაწყებამდე, დილით გაიმართა საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრება.

აქ ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ოლიმპიური ჩემპიონი ბ. სელიცკი და მსოფლიო ჩემპიონი, იაპონელი მ. ოუტი. ეს სპორტსმენები ჯერ კიდევ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (ვარშავა) ედავებოდნენ ერთმანეთს. მაშინ გამარჯვება იაპონიის პოლიციის ოფიცერს დარჩა. ამჯერად კი სელიცკი უფრო უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და სამჭიდის ჯამში 477,5 კილოგრამის დაგროვებით საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იაპონელი II ადგილს დასჯერდა — სელიცკის 7,5 კგ-ით ჩამორჩა. III ადგილზეა უნგრელი გ. ხორვატი — 467,5 კგ. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მეორე საბჭოთა ათლეტმა — 22 წლის ხარკოველმა ზეინკალმა ბ. პავლოვმა. იგი სულ 5 წელია, რაც ფიცარნაგზე გამოდის და უკვე მაღალ შედეგებს აღწევს. მან ამ შეჯიბრებაში 467,5 კგ დააგროვა, რაც იმის საწინდარია, რომ უახლოეს ხანში იგი ტოლს არ დაუდებს სახელოვან ათლეტებს.

ქვემძიმე წონაში იოლი გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონ კაარლო კანგასნიემის (ფინეთი). ეს ვარაუდი შეჯიბრებამაც დაადასტურა. 29 წლის ფინელმა პოლიციელმა ვარშავის ჩემპიონატში ნაჩვენებ შედეგს 5 კგ წაუმატა და ეს საესებით საკმარისი გამოდგა გამარჯვებისთვის. მისი მაჩვენებელია 520 კგ. II ადგილზეა 25 წლის პერვოურალსკელი ვ. კოლოტოვი (510 კგ), რომელმაც საკმაო წარმატებით აითვისა მისთვის ახალი წონითი კატეგორია. მესამე პრიზიორი გახდა უნგრელი ფ. ნადი — 485 კგ.

შეჯიბრების ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ ასეთ დიდ ფორუმზე 22 წლის კოლომნელი ვ. პახომოვისა და 22 წლის რიგელი ს. პოლტორაცკის დებიუტი. პირველმა სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა ატაცში—156 კგ, ხოლო 20 კილოგრამით გააუმჯობესა პირადი მიღწევა—507,5 კგ დააგროვა. პოლტორაცკის შედეგია 502,5 კგ. ეს ორი საბჭოთა ათლეტი „500-ანთა" კლუბის 84-ე და 85-ე წევრები არიან, ხოლო ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის შესაბამისად VIII და IX ადგილები უკავიათ.

კაარლო კანგასნიემის მიაჩნია, რომ საბჭოთა სამეულისგან უახლოეს ხანში ბევრი რამაა მოსალოდნელი.

## მექსიკის ტალღაზე

### მაროკოელთა ენერგიული მზადება

მექსიკაში გამგზავრებამდე მაროკოს ნაკრებს მზადების ფრიად ინტენსიური გეგმა აქვს. იგი შეხვდება იტალიის „ფიორენტინას", პორტუგალიის „ბენფიკას", გფრ-ის I ლიგის ერთ-ერთ კლუბს, იტალიის ნაკრებს. გარდა ამისა, მაროკოელები თავიანთი ქვეყნის I ლიგის რამდენიმე გუნდსაც ეთამაშებიან.

გუნდის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მას არა აქვს რაიმე პრეტენზია მსოფლიო ჩემპიონატში და სავსებით კმაყოფილია, რომ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

### „თქვენი იმედი გვაქვს!"

5.000 ინგლისელი გულშემატკივარი მიემგზავრება მექსიკაში (საგზური 1.500 დოლარი ღირს). „უთქვენოდ ინგლისის ნაკრებს არაფრის შანსი არა აქვს მექსიკაში", — უთხრეს ამ გულშემატკივრებს, რომელთათვისაც უკვე დაჯავშნეს ადგილები გვადალახარასა და მეხიკოს სტადიონებზე და სასტუმროებში.

ფეხბურთი

## ფეხბურთი 1970

გაიმართა III ტურის მატჩები.

● „ენგური" (ზუგდიდი)—„იმერეთი" (თერჯოლა) 1:1. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

● „გიგანტი" (ლაითური) — „ისანი" (თბილისი) 0:3. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქნა, რომ სტუმრები შესამჩნევად სჯობდნენ „გიგანტს" როგორც ტექნიკური მომზადებით, ისე ტაქტიკურადაც. ისნელები თამაშობდნენ სწრაფად, მონდომებით და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის კართან. ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა გოცირიძემ. მეორე ტაიმში იმავე გოცირიძემ და დვალმა განამტკიცეს თავიანთი გუნდის გამარჯვება.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:0. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● „სქური" (წალენჯიხა)—„ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

თამაშმა თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. პატარა უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ მე-9 წუთზე თ. კვარაცხელიამ მოულოდნელად დაარტყა „ლოკომოტივის" კარში, მეკარემ განძრევაც კი ვერ მოასწრო და ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

ამ მომენტიდან მოყოლებული რკინიგზელები განუწყვეტლივ უტევდნენ. „სქურის" კართან ბევრი საგოლე მომენტი იქმნებოდა, მაგრამ ვერც ერთი მათგანის გამოყენება „ლოკომოტივის" თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს. წალენჯიხელებმა ძნელი გამარჯვება ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სამცხე" (აწყური) 0:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 0:0. მსაჯი ა. ჰკუასელი (თბილისი).

ამ მატჩში სტუმრების კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ მისი გატანა მასპინძლებმა ვერ შეძლეს.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 2:1. მსაჯი ო. ჩიქობავა (ცხაკაია).

## საქართველოს ჩემპიონატი

მოგვყავს IV ტურის მატჩების კალენდარი, რომელიც შედგება 22 მარტს: ასკ (თბილისი) — „იმერეთი" (თერჯოლა), „ქართლი" (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ცისკარი" (სიღნაღი), „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), „სამცხე" (აწყური) — „ვარკეთილი" (გარდაბანი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სალხინო" (გეგეჭკორი), „მესხეთი" (ახალციხე) — „სქური" (წალენჯიხა), „მშენებელი" (ბორჯომი) — „კოლხეთი" (ცხაკაია), „მზიური" (გალი) — „სინათლე" (თბილისი), „ენგური" (ზუგდიდი) — „მაღაროელი" (ჭიათურა).

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 19 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 3 | 3 | 0 | 0 | 6—3 | 6 |
| „ისანი" (თბილისი) | 3 | 3 | 0 | 0 | 4—0 | 6 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 3 | 2 | 0 | 1 | 8—4 | 4 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 3 | 2 | 0 | 1 | 7—5 | 4 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 3 | 2 | 0 | 1 | 4—3 | 4 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 3 | 1 | 2 | 0 | 1—0 | 4 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | 3 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „სამცხე" (აწყური) | 3 | 1 | 1 | 1 | 1—2 | 3 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—4 | 3 |
| „სინათლე" (თბილისი) | 2 | 1 | 0 | 1 | 4—4 | 2 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „მზიური" (გალი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 3 | 0 | 2 | 1 | 2—3 | 2 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—1 | 1 |
| ასკ (თბილისი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 2 | 0 | 1 | 1 | 2—4 | 1 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 2 | 0 | 0 | 2 | 2—6 | 0 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 2 | 0 | 0 | 2 | 1—6 | 0 |



# რათა ღირსეულად შეხვდნენ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები გულმოდგინედ ემზადებიან, რათა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

შეიქმნა საიუბილეო კომისია. პარტბიურომ რექტორატთან, დეკანატებთან და კათედრებთან ერთად შეადგინა საიუბილეო ღონისძიებათა სპეციალური გეგმა. გაძლიერდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ლენინიზმის პროპაგანდა.

ინსტიტუტში, სტუდენტთა საცხოვრებელში ტარდება ლექციები, ეწყობა თეორიული კონფერენციები, ადგილობრივი და გამსვლელი სესიები. ჩატარდა ორი თეორიული კონფერენცია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და მისი იდეური მემკვიდრეობა", „ვლადიმერ ილიას ძე და კომუნიზმის მშენებლობის პრობლემები". მოეწყო გასაუბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებზე. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ჩატარდება სამეცნიერო სესია, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. შიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემებზე სტუდენტთა ნაშრომების III საკავშირო კონკურსისთვის.

ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის თაოსნობით ეწყობა ექსკურსიები რევოლუციურ ადგილებში და ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული ორგანიზაცია, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა ზრუნავენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებში ლექციებისა და სემინარული მეცადინეობების მეთოდური და იდეური დონის ამაღლებისთვის. ამ მეცნიერებათა სწავლება მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკური კულტურისა და სპორტული ორგანიზაციებისთვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროფილს.

დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო და შრომითი დისციპლინის ამაღლებას. გამოცხადებულია კონკურსი საუკეთესო აკადემიური ჯგუფის სახელისთვის. ინსტიტუტის კოლექტივი ჩაბმულია საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქმიანობის ყველა უბანზე საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისთვის.

კათედრებზე და დეკანატებში მოეწყო საიუბილეო სტენდები და გამოფენები სპეციალობისა და პროფილის მიხედვით. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრამ მოაწყო ფართო გამოფენა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კარგ ტრადიციად იქცა სტუდენტთა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან და შრომის მოწინავე ადამიანებთან.

ზეიმის დღეებში ინსტიტუტში მოეწყობა საიუბილეო მასობრივი სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ი. მამულაშვილი.



ამას წინათ თბილისში დამთავრდა ქალაქის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. შესანიშნავად იასპარეზა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ნ. ჯავახიშვილმა. ეს წარმატება მისთვის პირველი როდია. ნუგზარმა ამ რამდენიმე ხნის წინ „ბურევესტნიკის" ლია ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი უძლიერესია რესპუბლიკაში.

ჯავახიშვილი მწვრთნელ გ. კალმახელიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს და გულმოდგინედ ემზადება მომავალი ტურნირებისთვის.

* * *

სურათზე: ნ. ჯავახიშვილი.

ტექსტი და ფოტო
გ. დოლენჯაშვილისა.

# საკუთარი გამოცდილებით...

„ლელოში" ამას წინათ გამოქვეყნდა წერილები, სადაც ლაპარაკი იყო, რომ ადამიანს თავისი ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, კერძოდ, გულის მუშაობის გაუმჯობესებისთვის სჭირდება დიდი ფიზიკური დატვირთვა, რბენა, სიარული, თამაში და ა. შ.

მართლაც, ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დიდ დატვირთვას და ამიტომაა, რომ ბევრი უჩივის გულის დაავადებას, თუმცა, საკმარისია „თავის შეწუხება", მეტი შრომისუნარიანობისა და ენერგიის გამოჩენა, რომ ადამიანმა მკვეთრად გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა.

ყველას გინახავთ დილით ავტობუსის, ტროლეიბუსისა და ტრამვაის გაჩერებასთან ხალხის დიდი რიგები. ზოგიერთი დილის სუფთა ჰაერზე დიდი ხნით დგას და უცდის ტრანსპორტს, თუმცა თავის დაწესებულებამდე სულ ორიოდე კილომეტრი აქვს გასავლელი. ასეთებს ფეხით სიარულს ურჩევნიათ დახუთულ, გაჭედილ მანქანაში ასვლა და რამდენიმე წუთით უხერხული მგზავრობა. და იგივე ხალხი შემდეგ გულის ავადმყოფობას უჩივის. დაუმატეთ ამას არარაციონალური კვება და თქვენთვის ნათელი გახდება, რა ზიანს აყენებს კაცი საკუთარ თავს.

გულით დაავადებულთა ნაწილობრივი ან მთლიანი გამოჯანმრთელება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შევცვლით ჩვენი ცხოვრების ერთფეროვან მიმდინარეობას და ვივარჯიშებთ ყოველდღე, სისტემატურად. ფიზიკურ ვარჯიშთა შორის ნელ ტემპში რბენა გულ-სისხლძარღვთა ფუნქციური მაჩვენებლების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. რბენის დროს იზრდება ორგანიზმის დაძაბულობა, რაც გულს აიძულებს იმუშაოს ინტენსიურად, ეს კი დამოკიდებულია რბენის სისწრაფეზე. ამიტომ ძალიან სასარგებლოა ნელ ტემპში რბენა, როცა დატვირთვა თანაბარი, უწყვეტი და ხანგრძლივია. სხვა ვარჯიშების დროს დატვირთვა ასე უწყვეტი და ხანგრძლივი არ არის. ყოველდღიურად 15-30 წუთს რბენა 18 თვის განმავლობაში ორჯერ ზრდის სისხლძარღვების ელასტიკურობას და მოცულობას.

გაგაცნობთ საკუთარ თავზე ჩატარებული დაკვირვების შედეგებს. 1963 წლიდან მძლეოსნობის მწვრთნელად ვმუშაობდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთრივ ვარჯიში მთლიანად შევწყვიტე. ამის შედეგად წონამ 75 კილოგრამიდან 87 კილოგრამს მიაღწია, იმატა წნევამ, პულსმა. იმ ხანებში ყურადღებით ვკითხულობდი ყველაფერს, რაც იბეჭდებოდა ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, მსურდა ამომეცნო, რით შეიძლებოდა ორგანიზმის ამ საერთო მოდუნების გაუმჯობესება.

ვინაიდან სამუშაოზე დაკავებული ვიყავი დილის 9 საათიდან საღამოს 6-მდე, დრო ფიზიკური ვარჯიშისთვის დილით გამოვნახე. ვდგებოდი 6 საათსა და 30 წუთზე, დავრბოდი 25-30 წუთს, რის შემდეგაც ვღებულობდი შხაპს და მივდიოდი სამუშაოდ. პირველი თვე ძალიან მძიმე გამოდგა, მტკიოდა თითოეული კუნთი და, მართალი გითხრათ, დილაადრიან ადგომაც მეზარებოდა. შემდეგ შევეჩვიე და ბოლოს უვარჯიშოდ აღარც შემეძლო ყოფნა. თანდათან დავიკელი წონაში, მოწესრიგდა წნევა და პულსი, გაუმჯობესდა გულის მუშაობაც.

რბენის ტემპი უნდა იყოს თანაზომიერი. არ შეიძლება მისი მომატება ძალდატანებით. მომეცადინე არ უნდა გრძნობდეს დაძაბულობას. ნელ ტემპში რბენა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. სანამ ადამიანი მოძრაობს, გაციებისა არ უნდა ეშინოდეს. მაგრამ რბენის დამთავრებისთანავე შხაპი უნდა მიიღოს ოფლის შეშრობამდე. შეიძლება სხეულის გამშრალება მშრალი ტილოთიც, მაგრამ შხაპი აუცილებელია.

რბენა საჭიროა ყოველდღე და გაცდენას არავის არ ვურჩევ. ამას გარდა, მომეცადინე ყოველთვის ხალისიანად უნდა იყოს განწყობილი დატვირთვის მისაღებად. სცადეთ საკუთარ თავზე ასეთი ექსპერიმენტი და სულ მალე ნახავთ, რა კეთილნაყოფიერი შედეგი მოჰყვება მას.

ჯ. ხუბუა,
მწვრთნელი მძლეოსნობაში.

# ნაკურალეშის მიდამოებში

სათხილამურო სპორტში ცაგერის რაიონის პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. უფროს ასაკში გაიმარჯვა ღვირიშის საშუალო სკოლის კოლექტივმა, II ადგილზე გავიდნენ ამავე სოფლის კოლმეურნეობის მოთხილამურეები, ხოლო III — ცხუკუშერელი მოსწავლეები.

სამაგიეროდ, ცხუკუშერელებმა იმარჯვეს უმცროს ასაკში, ღვირიშელები კი II ადგილით დაკმაყოფილდნენ. III ადგილზეა ალვის სკოლის გუნდი.

10 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში რაიონის ჩემპიონი გახდა კ. ხეცურიანი. 5-კილომეტრიან დისტანციაზე I-II ადგილები გაიყვეს თ. და მ. ყურაშვილებმა. სწრაფდაშვება ს. გიორგობიანმა მოიგო, სპეციალური სლალომი — ჯ. ხეცურიანმა, ტრამპლინიდან ხტომა — ი. ჩარკვიანმა.

3 კილომეტრზე გოგონების რბოლაში ყველას აჯობა ი. ყურაშვილმა, 5 კილომეტრზე კი დ. ბურჯალიანმა. სწრაფდაშვებაში ჩემპიონი გახდა ლ. ხეცურიანი.

შ. ხვადაგიანი,
ცაგერის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

**✦ თბილისი**

პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტდარბაზში ამ სასწავლებლის ფრენბურთელი ვაჟები შეხვდნენ თბილისის გაზისა და სამთო ტექნიკუმის გუნდს და გაიმარჯვეს — 3:1.

ს. უულიჯანოვი.

# საქართველოს 10 საუკეთესო

**მძლეოსნობა**

**1969 წლის შედეგების მიხედვით**

ათეულებში სპორტსმენთა გვარის შემდეგ აღნიშნულია შედეგი, დაბადების წელი, ქალაქი და ორგანიზაცია, შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი.

## ვაჟები

### რბენა 100 მ

**ევროპის რეკორდი — 10,0**
ა. ჰარი (გფრ) 1960
რ. ბამბიუკი (საფრანგეთი) 1968
ვ. საპეია (სსრ კავშირი) 1968
ვ. ბორზოვი (სსრ კავშირი) 1969

**სსრ კავშირის რეკორდი — 10,0**
ვ. საპეია (გომელი) 1968
ვ. ბორზოვი (კიევი) 1969

**საქართველოს რეკორდი — 10,3**
ლ. სანაძე (თბილისი) 1952
ე. ლომთაძე (თბილისი) 1961
ა. ბედუკაძე (თბილისი) 1962

ა. კოსტინი — 10,4 (1940 წ.), სოხუმი, „დინამო". 29. V, თბილისი; გ. სტეპანოვი — 10,5 (47), თბილისი, „სპარტაკი". 22. X, ნალჩიკი; თ. მდინარაძე — 10,6 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26. X, თბილისი; ვ. ქავთარაძე — 10,7 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26. X, თბილისი; ა. ანდრეევი — 10,7 (41), თბილისი, „ლოკომოტივი". 30. X, ლენინგრადი; ო. ბექაური — 10,8 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 27. VI, თბილისი; ა. ანტონოვი — 10,8 (44), თბილისი, „სპარტაკი". 21. X, ნალჩიკი; ტ. ბახტაძე — 10,9 (38), თბილისი, „ლოკომოტივი". 26. X, თბილისი; ი. კოზელსკი — 10,9 (46), ქუთაისი, „დინამო". 18. IV, ლესელიძე; ი. დიაჩკოვი — 10,9 (40), თბილისი, „დინამო". 20. V, ნალჩიკი; ა. მოშიაშვილი — 10,9 (50), თბილისი, „დინამო". 12. X, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 10,7, 1969 წ. — 10,7.

### რბენა 200 მ

**ევროპის რეკორდი — 20,3**
ფ. კლერკი (შვეიცარია) 1969

**სსრ კავშირის რეკორდი — 20,5**
ნ. ივანოვი (შეიარაღებული ძალები) 1968
ვ. საპეია (გომელი) 1968

**საქართველოს რეკორდი — 21,3**
ა. ანდრეევი (თბილისი) 1966
თ. მდინარაძე (თბილისი) 1969

თ. მდინარაძე — 21,3, 27. X, თბილისი; ა. ანდრეევი — 21,5, 27. X, თბილისი; ა. კოსტინი — 22,0, 15. IV, სოხუმი; ი. კოზელსკი — 22,0, 19. IV, ლესელიძე; ტ. ბახტაძე — 22,1, 28. VI, თბილისი; ს. სვისტელნიკოვი — 22,3 (51), თბილისი, „სპარტაკი". 10. VI, თბილისი; გ. სტეპანოვი — 22,3, 8. VI, თბილისი; ლ. კოროლიოვი — 22,4 (40), თბილისი, „დინამო". 27. X, თბილისი; ა. ანტონოვი — 22,4, 29. VIII, მინსკი; ო. სიხარულიძე — 22,6 (48), თბილისი, „სპარტაკი". 13. XII, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 22,1, 1969 წ. — 22,1.

### რბენა 400 მ

**ევროპის რეკორდი — 44,9**
კ. კაუფმანი (გფრ) 1960
ე. მელინგჰაუსი (გფრ) 1968

**სსრ კავშირის რეკორდი — 45,8**
ა. ბრატჩიკოვი (მოსკოვი) 1969

**საქართველოს რეკორდი — 47,5**
ტ. ბახტაძე (თბილისი) 1967

ტ. ბახტაძე — 48,4, 28. VII, ოდესა; ლ. კოროლიოვი — 49,0, 12. XI, ბაქო, ი. კოზელსკი — 49,3, 10, VII, ბათუმი; ი. დიაჩკოვი — 49,4, 17. V, ნალჩიკი; ბ. ასათიანი — 50,3 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 3. V, ნალჩიკი; რ. არშევონაშვილი — 50,5 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. X, პიატიგორსკი; გ. შოშიაშვილი — 51,4 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; ა. ტეკშტრემი — 51,4 (48), თბილისი, „განთიადი". 13. VII, თბილისი; შ. ჯაბიშვილი — 51,4 (49), თბილისი, ასკ. 6. X, პიატიგორსკი; ლ. ბუგეშაშვილი — 51,5 (45), თბილისი, „დინამო". 20. V, ნალჩიკი; დ. კორინევიჩი — 51,5 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 4. VIII, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1948 წ. — 50,5, 1969 წ. — 50,3.

### რბენა 800 მ

**ევროპის რეკორდი — 1.44,9**
ფ.-ი. კემპერი (გფრ) 1966

**სსრ კავშირის რეკორდი — 1.46,2**
ს. კრიუჩეკი (შეიარაღებული ძალები) 1969

**საქართველოს რეკორდი — 1.50,1**
ე. გონჩაროვი (თბილისი) 1963

ლ. ტიტოვი — 1.53,4 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი". 29. V, თბილისი; ი. ზეინან-ოღლი — 1.53,6 (46), თბილისი, „ლოკომოტივი". 20. VII, ოგრე; გ. სტარიჩკოვი — 1.54,5 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი". 27. X, თბილისი; ზ. ქავზინაძე — 1.54,7 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 10. IV, თბილისი; გ. შოშიაშვილი — 1.54,7, 27. X, თბილისი; ვ. მაიროშიანი — 1.55,2 (49), სოხუმი, „დინამო". 27. VI, თბილისი; რ. არშევონაშვილი — 1.55,7, 27. X, თბილისი; ი. სოვეტკინი — 1.55,8 (48), თბილისი, „დინამო". 8. IX, სიმფეროპოლი; ა. ტეკშტრემი — 1.58,2, 23. VII, ოდესა; ნ. დავიდენკო — 1.59,5 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 1.55,6, 1969 წ. — 1.55,5.

### რბენა 1500 მ

**ევროპის რეკორდი — 3.36,3**
მ. ჟაზი (საფრანგეთი) 1966

**სსრ კავშირის რეკორდი — 3.38,7**
ო. რაიკო (შეიარაღებული ძალები) 1966

**საქართველოს რეკორდი — 3.49,7**
ა. კორნეიჩუკი (თბილისი) 1967

ი. სოვეტკინი — 3.54,0, 10. IX, სიმფეროპოლი; გ. სტარიჩკოვი — 3.54,1, 19. VII, ოგრე; ვ. მაიროშიანი — 3.57,2, 21. VI, რიგა; ნ. დავიდენკო — 3.57,4, 8. VI, თბილისი; ა. კურზანოვი — 4.00,0 (38), თბილისი, ასკ. 3. IX, თბილისი; ლ. ტიტოვი — 4.04,0, 17. V, თბილისი; ი. ცანავა — 4.06,8 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი". 29. VI, თბილისი; ნ. ხაბეიშვილი — 4.06,9 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი". 19. VII, ოგრე; ა. დმიტრიევი — 4.09,0 (51), სოხუმი, „დინამო". 28. VIII, მინსკი; ა. კონდრატენკო — 4.12,0 (47), ბათუმი, „დინამო". 23. IX, ბათუმი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 3.57,2, 1969 წ. — 4.02,1.

### რბენა 5000 მ

**ევროპის რეკორდი — 13.24,8**
მ. ნორპოტი (გფრ) 1966

**სსრ კავშირის რეკორდი — 13.34,8**
ა. მაკაროვი (სვერდლოვსკი) 1967

**საქართველოს რეკორდი — 14.24,0**
ნ. დავიდენკო (თბილისი) 1969

ნ. დავიდენკო — 14.24,0, 20. VII. ოგრე; პ. კოჩეგუროვი — 14.39,4 (42), თბილისი, „ლოკომოტივი". 14. IV, იალტა; გ. ნესტერენკო — 14.57,2 (38), რუსთავი, „განთიადი". 27. VI, თბილისი; ი. მიხაილჩენკო — 15.12,0 (36), თბილისი, „კოლმეურნე". 27. VI, თბილისი; ი. ცანავა — 15.24,6, 8. IV, თბილისი; ი. სოვეტკინი — 15.49,2, 25. VIII, თბილისი; ვ. მაიროშიანი — 15.51,2, 13. IX, თბილისი; ვ. ვირჩენკო — 15.57,8 (42), თბილისი, ფიზკულტურის ინსტიტუტი 6. VII, თბილისი; ა. მიქოიანი — 16.04,8 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. VII, თბილისი; ა. კონდრატენკო — 16.06,8, 25. IV, ბათუმი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 15.15,4, 1969 წ. — 15.26,7.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლს ნუ დავაბრალებთ

15-16 წლის მძლეოსანთა საქალაქო ტურნირის მონაწილეებმა ესტაფეტა 17-18 წლის სპორტსმენებს გადასცეს. ამჯერად შეჯიბრების ორგანიზატორი თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი იყო. პროგრამაში 29 სახეობა შედიოდა, გამარჯვებისთვის კი იბრძოდნენ განათლების განყოფილების, „განთიადის", „სპარტაკის", „დინამოს", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", აგრეთვე, გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის გუნდები.

ყოველ კოლექტივს 30-30 კაცი უნდა გამოეყვანა. ყველაზე მცირერიცხოვანი იყო „შრომითი რეზერვების" გუნდი, რომელიც 20 მძლეოსნით დააკომპლექტეს. „ლოკომოტივის" ღირსებას 22 სპორტსმენი იცავდა.

„ბურევესტნიკმა" შეჯიბრებაში მონაწილეობას საერთოდ აარიდა თავი, თუმცა 17-18 წლის სპორტსმენები ყველაზე მრავლად სწორედ ამ საზოგადოებას ჰყავს.

გეგმით, ეს პირად-გუნდური ტურნირი „ლოკომოტივის" სტადიონზე 27-28 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ, ვინაიდან სარბიელის მომზადება ვერ მოასწრეს, შეჯიბრება 10 დღით გადაიდო. ესეც საკმარისი დრო იყო, რომ სპორტსაზოგადოებებს გუნდები საბოლოოდ რიგიანად დაეკომპლექტებინათ და ღია ცის ქვეშ სეზონის პირველ შეჯიბრებას მომზადებული შეხვედროდნენ.

ამ ხარვეზების მიუხედავად, მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა თ. ელიაშვილმა თავი არ დაზოგა, ასპარეზობა ორგანიზებულად რომ ჩატარებულიყო.

წლეულს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების გადამწყვეტი წელია, ვინაიდან გაისად, როცა მოსკოვში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა მორიგი დიდი ფორუმი შედგება, ნაკრები გუნდებისთვის სპორტსმენთა შესარჩევად არარავის ეცლება (საამისო დროც არ იქნება). მაშინ მთავარი ყურადღება გუნდების მზადებაზე გადავა, ამიტომაც ვარაუდობდნენ, რომ ტურნირი რაიმე საიმედოს გამოავლენდა. მაგრამ ბევრ სახეობაში (110 მ თარჯრბენი, უროს, შუბისა და ბადროს ტყორცნა, 200 და 5000 მეტრზე რბენა, ქალიშვილების ტურნირი 400 და 800 მეტრზე რბენაში) სარბიელზე ხუთ სპორტსმენზე მეტი არ გამოსულა. 1500 მეტრზე რბენაში ქალიშვილების შეჯიბრება არც გამართულა, ვინაიდან ამ სახეობაში სპორტსმენები არავის გამოუყვანია. ასპარეზობის მეორე დღეს მოთოვა. ამიტომ 100 და 400 მეტრზე თარჯრბენი, ჭოკით ხტომა, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენა პროგრამიდან ამოიღეს, სიგრძეზე ხტომაში ტურნირი კი ლენინის სტადიონის მანეჟში ჩაატარეს.

შედეგები უმეტესად უხეირო იყო. რასაკვირველია, ამაზე უამინდობამაც მოახდინა გავლენა, მაგრამ დაბალ მაჩვენებლებს მარტო თოვლს ნუ დავაბრალებთ. ტურნირის პირველ დღეს, როცა არ თოვდა, პროგრამის 15 სახეობაში მოასპარეზე 123 სპორტსმენიდან I თანრიგის შედეგი ვერავინ აჩვენა, II თანრიგის შედეგი კი მხოლოდ 8 მძლეოსანმა მოიპოვა.

რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 110 მეტრზე თარჯრბენში მოასპარეზე 4 სპორტსმენიდან ფინიშამდე მხოლოდ ორმა მიაღწია? გამარჯვება დარჩა ი. ინდრიაკოვს (განათლების განყოფილება) — 16,7. განთიადელმა ნ. იუშინამ ბირთვი მხოლოდ 5,55 მეტრზე ჰკრა, მისი თანაგუნდელი ა. ოვანესიანი კი 130 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას ძლივს გადაევლო, მაშინ, როცა ა. შუბინმა (განათლების განყოფილება) 185 სმ დაძლია, თუმცა სახარბიელო შედეგი არც ესაა. 100 მეტრზე რბენაში ქალიშვილების შეჯიბრება მოიგო ლ. ჭარბაძემ („სპარტაკი") — 13,1, რაც მხოლოდ III თანრიგის ნორმატივს უდრის. ვ. ბელოსტოცკაიამ („ლოკომოტივი") ამავე მანძილის გარბენას 14,9 წამი მოანდომა. ჭარბაძემ მოიგო 200 მეტრზე რბენაც, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ზამთარში ხეირიანად არ უვარჯიშია — შარშან ამ დისტანციაზე ჭარბაძის საუკეთესო შედეგი ხომ 25,8 წამი იყო.

შედეგები საგრძნობლად გააუარესა ბევრმა სხვა სპორტსმენმაც, რომელთაგანაც ადრე ნაკრების ღირსეულ წევრებს ელოდნენ. ესენი არიან ს. სვისტელნიკოვი („სპარტაკი"), გ. ტემჩინი, გ. ამირხანიანი (ორივე — განათლების განყოფილება), და სხვ.

ქებას მხოლოდ ვ. სანიკიძე (განათლების განყოფილება) იმსახურებს. იგი კარგი სპორტული მოსიარულეა, მაგრამ ვინაიდან ეს სახეობა პროგრამაში არ იყო, ამ შეჯიბრებაში 3000 (9.33,0) და 5000 მეტრზე (17.10,5) რბენაში სცადა ძალა. სანიკიძემ ორივე დისტანციაზე „წმინდა" მორბენლებს დიდი უპირატესობით მოუგო.

**ო. ივდოშვილი.**

ქვემოთ მხოლოდ გამარჯვებულებს დავასახელებთ:

**ქალიშვილები. რბენა. 400 და 800 მ.** ნ. ბეზუმენკო (განათლების განყოფილება) — 1.08,9 და 2.40,0; **ბირთვის კვრა.** ჯ. ქაჯაია („დინამო") — 9,55; **შუბის ტყორცნა.** მ. გუსევა (პირადი) — 33,93; **ბადროს ტყორცნა.** ნ. ჭიკაიძე („სპარტაკი") — 30,74; **სიგრძეზე ხტომა.** ნ. მელნიკოვა (განათლების განყოფილება) — 492; **სიმაღლეზე ხტომა.** ლ. ნაზარიკოვა („ლოკომოტივი"), ვ. ჩერნავინა („განთიადი") — ორივე — 140 სმ;

**ჭაბუკები. რბენა. 100 მ.** სვისტელნიკოვი და ლ. გიგაური (გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატი) — ორივე — 11,4; **200 მ.** ჯ. ზალიევი (განათლების განყოფილება) — 25,2; **400 მ.** ა. კერესელიძე („განთიადი") — 55,2; **800 და 1.500 მ.** ტემჩინი — 2.05,7 და 4.24,6; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. კოლესნიკოვი — 654; **სამხტომი.** ვ. ლემეშკო — 13,70; **ბირთვის კვრა.** გ. კოზირევი (ყველა — განათლების განყოფილება) — 11,24; **შუბის ტყორცნა.** ამირხანიანი — 53,34; **ბადროს ტყორცნა.** ვ. სამხარაძე (პირადი) — 33 მ; **უროს ტყორცნა.** ბ. დერიცკი (განათლების განყოფილება) — 41,28.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. განათლების განყოფილება — 15054 ქულა, 2. „სპარტაკი" — 5830, 3. „დინამო" — 4682.

* * *





**სურათებზე:** ზევით — 3000 მეტრზე შეჯიბრების მომენტი; ქვევით — 100 მეტრზე რბენის სტარტზე.

ფოტო [illegible]

# ახალი სისტემით

ამას წინათ თბილისსა და ჭიათურაში ჩატარდა საქართველოს მოცურავეთა შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე. ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფად (13-14, 15-16 წლისა და უფროსი ასაკის სპორტსმენები) მოეწყო. მონაწილენი ჩათვლას აძლევდნენ იმ ქალაქს, საზოგადოებას, სპორტსკოლას ან უმაღლეს სასწავლებელს, რომელთაც ეკუთვნიან, და აუზს, სადაც ემზადებოდნენ.

რესპუბლიკურ ასპარეზობას წინ უსწრებდა საქალაქო შესარჩევი შეჯიბრებები. ამ ტურნირების ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ყოველ დისტანციაზე საუკეთესო 12-12 სპორტსმენი ფინალში გადიოდა.

რესპუბლიკური კომიტეტის თასის გათამაშებაში კარგად გამოვიდნენ ჭიათურის წარმომადგენლები, რომლებმაც პირად ჩათვლაში რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს, უფროსი ასაკის ჯგუფის საერთო გუნდურ ჩათვლაში კი III ადგილზე გავიდნენ. და ვეჭვობ: იქ აუზის გათბობაში ყველაფერი ხეირიანად რომ იყოს, „შავი ოქროს" ქალაქის მოცურავეები უკეთეს შედეგებს მოიხვეჭდნენ.

მოუმზადებელი სპორტსმენები გამოიყვანა აფხაზეთმა, რომელიც ყველა ასაკისა და ჯგუფში ბოლო გუნდურ ადგილებს დასჯერდა. შევადაროთ ყველა დისტანციაზე 2-2 საუკეთესო მოცურავის შედეგები შარშანდელი ანალოგიური ტურნირის მაჩვენებლებს და დავრწმუნდებით, რომ წლეულს ტექნიკური შედეგების ზრდა საერთოდ 12,5 პროცენტს შეადგენს (ვაჟებში — 18,2 პროცენტს, ქალებში—6,7 პროცენტს). მაჩვენებლები ძველ დონეზე დარჩა 24 დისტანციიდან მხოლოდ ოთხში (ქალთა ცურვა 100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით, 100 მ ბატერფლაით, 200 მ კომპლექსური).

მაგრამ თუ ჩვენი მოცურავეების მაჩვენებლების ზრდის ტემპს მეტოქეთა (ყაზახეთი, ლატვია და სხვ.) შედეგებს შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ მათ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება გვავალებს, რომ ჩამორჩენა რაც შეიძლება სწრაფად გამოვასწოროთ.

აი, საბოლოოდ როგორ განაწილდა გუნდური ადგილები:

**13-14 წლის სპორტსმენები**

**ქალაქები.** თბილისი—621 ქულა, ბათუმი — 102, ჭიათურა — 53, ქუთაისი და სოხუმი — 0.

**სპორტსაზოგადოებები და უწყებები.** „დინამო" — 426, „განთიადი" — 223, განათლების სამინისტრო — 62, „სპარტაკი" — 44, „შრომითი რეზერვები" — 18, „ბურევესტნიკი" და თბილისის ასკ — 0.

**სპორტსკოლები და ჯგუფები.** „დინამო" (თბილისი) — 399, „განთიადი" (თბილისი) — 143, თბილისის განათლების განყოფილება — 58, „განთიადი" (ჭიათურა) — 53, „სპარტაკი" (ბათუმი) — 44, „განთიადი" და „დინამო" (ბათუმი) — 27-27, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — 18, ბათუმის განათლების განყოფილება — 4, „ლოკომოტივი" (თბილისი) — 3, „დინამო" (სოხუმი) — 0.

**აუზები.** „დინამო" (თბილისი) — 305, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი (თბილისი) — 192, „განთიადი" (ბათუმი) — 102, „ლოკომოტივი" (თბილისი)— 94, „განთიადი" (ჭიათურა) — 53, სპორტკლუბი „უშბა" (თბილისი) — 32, „შრომითი რეზერვები"—0.

**15-16 წლის სპორტსმენები**

**ქალაქები.** თბილისი—460, ბათუმი — 110, ქუთაისი — 43, ჭიათურა — 3, სოხუმი — 2.

**სპორტსაზოგადოებები და უწყებები.** „დინამო" — 318, „განთიადი" — 128, განათლების სამინისტრო — 87, „სპარტაკი" — 64, „შრომითი რეზერვები" — 61, „ლოკომოტივი" — 10, „ბურევესტნიკი" და თბილისის ასკ — 0.

**სპორტსკოლები და ჯგუფები.** „დინამო" (თბილისი) — 295, „განთიადი" (თბილისი) — 88, თბილისის განათლების განყოფილება — 82, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — 61, „სპარტაკი" (ბათუმი) — 46, „განთიადი" (ბათუმი) — 38,5, „დინამო" (ბათუმი) — 24, „ლოკომოტივი" (თბილისი) — 10, ბათუმის განათლების განყოფილება — 5, „განთიადი" (ჭიათურა) — 3, „დინამო" (სოხუმი) — 2.

**აუზები.** ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი — 368,5, „განთიადი" (ბათუმი) — 119,5, „დინამო" (თბილისი) — 115, „უშბა" — 24, დოსაატი (სოხუმი) — 20, „განთიადი" (ჭიათურა) — 3, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — 0.

**უფროსი ასაკი**

**ქალაქები.** თბილისი — 470, ბათუმი — 159, სხვები — 0.

**სპორტსაზოგადოებები.** „დინამო" — 297, „განთიადი" — 120, „სპარტაკი" — 72, „ბურევესტნიკი" — 62, „შრომითი რეზერვები" — 57, თბილისის ასკ — 21, „ლოკომოტივი" — 0.

**უმაღლესი სასწავლებლები.** ფიზკულტურის ინსტიტუტი — 151, პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 144, ბათუმის პედინსტიტუტი — 46, მწვრთნელთა სკოლა — 7, უნივერსიტეტი — 5, სხვა უმაღლესი სასწავლებლები — 0.

**აუზები.** „დინამო" (თბილისი) — 342, რესპუბლიკური კომიტეტი — 138, „განთიადი" (ბათუმი) — 137, „ლოკომოტივი" — 12.

პირადი მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია შემდეგი შედეგები: ქალები. **100 მ. თავისუფალი სტილით.** ვ. პროსკურინა („განთიადი", თბილისი) — 1.09,0; **გულაღმა.** ნ. გაჩეჩილაძე („განთიადი", ჭიათურა) — 1 25,5; **ბრასი.** ლ. მარღანია („დინამო", სოხუმი )— 1.20,8 (საქართველოს რეკორდი 25-მეტრიანი აუზისთვის), მ. კირდიანოვა — 1.26,7, მ. შავდია (ორივე — „დინამო", თბილისი) — 1.27,0; **ბრასი. 200 მ.** მარღანია — 2.57,0 (საქართველოს რეკორდი 25-მეტრიანი აუზისთვის), კირდიანოვა — 3.08,2; **ბატერფლაი. 100 მ.** მ. გორბუნოვა („სპარტაკი", ბათუმი) — 1.15,0; **200 მ.** გ. იოაკიმიდი („დინამო", თბილისი) — 2.21,7; **200 მ კომპლექსური.** რ. მიქაძე — („დინამო", თბილისი) — 2.52,1. ვაჟები. **400 მ თავისუფალი სტილით.** ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები", თბილისი) — 4.46,2, ს. მაკაროვი („დინამო", თბილისი) — 5.09,2; **გულაღმა. 100 მ.** დ. ფროლოვი („განთიადი", ბათუმი) — 1.05,3, ი. ნიკოგოსოვი („დინამო", თბილისი) — 1.14,8; **200 მ.** ნიკოგოსოვი — 2.43,3; **ბრასი. 100 მ.** ი. კირდიანოვი — 1.08,8; ა. იევლევი — 1.12,2, გ. ბახუტაშვილი (ყველა — „დინამო", თბილისი) — 1.18,2; **200 მ.** კირდიანოვი — 2.31,3, იევლევი — 2.38,0, ბახუტაშვილი — 2.51,2; **ბატერფლაი. 100 მ.** ნ. პოგორელოვი — 1.04,7, ა. ბუკაშკინი (ორივე — „განთიადი", ბათუმი) — 1.06,7.

**ს. ილინი,**
**საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.**

---

[illegible]

**ზუგდიდი**

დოსაატის საქალაქო კომიტეტმა ჯვარზენის სასროლეთზე გამართა ენგურჰესის მშენებელთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ყველას აჯობა პროფტექნიკური სასწავლებლის ნაკრებმა.

**ბ. ალშიბაია.**

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



# ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლება

ბაუნასი, 18 მარტი. ჩემპიონატის მეორე კალენდარულ დღეს, თითქოს განგებ, სატურნირო ცხრილის ზედა ექვსეული ურთიერთობას არკვევდა ქვედა ნახევრის წარმომადგენლებთან. საინტერესო და პრინციპული დავა ლიდერთა (ასე ვუწოდოთ პირობით პირველ ექვსეულს) გამარჯვებით დამთავრდა — 4:2. მაგრამ, როგორც ხედავთ, აუტსაიდერებმა 2 ქულა მაინც აიღეს და მერე როგორი 2 ქულა!

რიგის ტტტ-ს სრული ტიტულების ჩამოთვლას, სულ ცოტა, ერთი თაბახი დასჭირდება. ლატვიის, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს № 1 გუნდი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იმითაა სახელგანთქმული, რომ იშვიათად აგებს შეხვედრას. ტტტ-ს ყოველი მარცხი მუდამ პირველი მნიშვნელობის სენსაციაა, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს წერენ და რომელსაც... სერიოზულად არასდროს უფიქრდებიან. ამბობენ, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო...

ტტტ-მ გუშინ წააგო შეხვედრა კაუნასის „პოლიტექნიკასთან“. წააგო იგი დამატებით დროში მინიმალური სხვაობით — 70:71 (ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 61:61). ეს უდავოდ ჩემპიონატის მთავარი სენსაციაა. ლატვიის გუნდმა სატურნირო ცხრილში პირველი წაგება ჩაიწერა. თითქოს საგანგებო შემთხვევა უნდა იყოს, არა?

მაგრამ გადახედეთ პირველი ტურის მატჩებს, ორიოდე თვის წინ რიგაში რომ ჩატარდა. მართალია, ტტტ-მ ხუთივე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ორჯერ მისი ბედი ბეწვზე ეკიდა, თანაც ერთხელ, ტრადიციულ აუტსაიდერთან — ტარტუს „უნივერსიტეტთან“ (რიგელებმა გაიმარჯვეს — 55:52), მეორედ კი ასევე ცუდ ფორმაში მყოფ ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ (63:61). არც სხვა შეხვედრებში იყო მისი გამარჯვება სარწმუნო. ამიტომ, სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ერთი ალილუია სსრ კავშირის ჩემპიონს სავსებით კანონიერად შეეშალა.

მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა კიევის „დინამომაც“ (საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 62:58), მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ რიგით სენსაციათა რიცხვს განეკუთვნება. კიევის „დინამო“ ამჟამად სუსტად თამაშობს და ამიტომაც გაგვიკვირდა მისი გამარჯვება, თორემ ისე, ორივე გუნდი დაახლოებით თანაბარი ძალისა არიან.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — სპი (თბილისი) 67:52, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 69:66, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 55:41, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 74:55.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკ. ოლქი) | 7 | 6 | 1 | 418—365 | 6 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 7 | 6 | 1 | 428—379 | 6 |
| ტტტ (რიგა) | 7 | 6 | 1 | 451—409 | 6 |
| „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) | 7 | 5 | 2 | 417—382 | 5 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 7 | 4 | 3 | 448—411 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) | 7 | 3 | 4 | 428—421 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 7 | 3 | 4 | 428—427 | 3 |
| „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) | 7 | 3 | 4 | 403—429 | 3 |
| „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) | 7 | 2 | 5 | 485—487 | 2 |
| სპი (თბილისი) | 7 | 2 | 5 | 425—466 | 2 |
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 2 | 5 | 399—451 | 2 |
| „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) | 7 | 0 | 7 | 361—464 | 0 |

# დაწინაურდა ახალგაზრდობა

ამბობენ, რომ მოჭადრაკეთა პაექრობაში გამარჯვება გამოცდილ, გამობრძმედილ ოსტატებს რჩებათ. მაგრამ მუდამ ასე როდია. ხშირად გამოცდილება ვერაფერს ახერხებს ახალგაზრდულ შემართებასთან. ამის კიდევ ერთი მაგალითია საკავშირო პროფსაბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელიც თბილისის ოფიცერთა სახლში მიმდინარეობს.

ტურნირს თითქოს მსოფლიოს ექსჩემპიონი ო. რუბცოვა და სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ვ. ბორისენკო უნდა ლიდერობდნენ, მაგრამ 4 ტურის შემდეგ მათ მხოლოდ 1,5-1,5 ქულა აქვთ. ლიდერთა ჯგუფში არიან ახალგაზრდები — ესტონელი მ. სამული (3,5 ქულა), იაროსლაველი ლ. ბელოკუროვა (3 ქულა და 1 გადადებული პარტია), მინსკელი თ. გოლოვეი (3 ქულა) და თბილისელი თ. ხუგაშვილი (2,5 ქულა).

ინიციატივას თავიდანვე ახალგაზრდები დაეუფლნენ. სამულმა ბელოკუროვას „მიბაძა“ და რუბცოვა დაამარცხა. მანვე მოუგო სამარყანდელ ვეტერანს კოსეს და ამხანადელ ლ. კიშკინასაც, ხოლო თბილისელ ნ. ჩიქობავას ყაიმზე შეუთანხმდა. ბელოკუროვამ რუბცოვას შემდეგ მოუგო ჩიქობავასა და კიშკინას, ხოლო მ. გეგეჭკორთან პარტია უკეთეს პოზიციაში გადადო.

გოლოვეიმ ზედიზედ სძლია ნ. გიორგაძეს, დ. ქობალიას და ხუგაშვილს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბელოკუროვამ შარშან რუსეთის ფედერაციის ქალთა საერთაშორისო ტურნირში III ადგილი დაიკავა, ოსტატი გოლოვეი წარმატებით [illegible] სსრ კავშირის ჩემპიონატებში, ხოლო სამული ესტონეთის უძლიერესთა სამეულში შედის.

ფინალის ხუთი საგზურის ერთ-ერთი სერიოზული პრეტენდენტია ხუგაშვილიც. ჩიქობავასთან პარტიის ყაიმით დამთავრების შემდეგ მან კიშკინა და გეგეჭკორი დაამარცხა, წაგებით კი მხოლოდ IV ტურში წააგო გოლოვეისთან. ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბული იყო. ხუგაშვილმა სტრატეგიული თვალსაზრისით ვერ განჭვრიტა მომავალი ბრძოლა და შეცდა.

საინტერესო სტილში იბრძვის ერევნელი მ. ვართანიანი. იგი ყველა პარტიაში ფიგურას სწირავს მეტოქეს, მაგრამ იერიშის სწორ გაგრძელებას მუდამ როდი აგნებს. ამიტომაა, რომ ვართანიანს მხოლოდ 1 ქულა აქვს.

თ. გიორგაძე,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

**პრიზები დააწესეს: „განთიადმა“ — ყველაზე მეტი მოგებისთვის, „ლელომ“ — ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის.**



სოხუმში დიდი ინტერესი გამოიწვია წრიულმა ველორბოლამ 60 კილომეტრზე. ეს გასაგებიცაა: შეჯიბრების სტარტზე გამოვიდა აფხაზეთის დედაქალაქში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი სსრ კავშირის ნაკრების 85 წევრი.

დაძაბულმა ბრძოლამ გამარჯვება ვილნიუსელ სპორტის ოსტატს ვ. კნეჟას მოუტანა.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო გ. იაშვილისა.

# გამოუყენებელი პენალტი

## საქართველოს პირველობა ხელბურთში

ის ფაქტი, რომ წლევანდელი რესპუბლიკური პირველობა თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება, ამ სახეობისადმი ინტერესის ზრდას ადასტურებს. ეს მნიშვნელოვანი ტურნირი სპორტის სასახლეში რესპუბლიკური საბჭოთა ვაჭრობა-გამოფენისთვის მზადებას დაემთხვა და რადგან ფოიეები დაკავებულია, სასახლის დირექციამ მსურველებს სასამსახურო შესასვლელი დაუთმო: შეჯიბრებაზე შესვლა თავისუფალია რესპუბლიკური პირველობა 21 მარტამდე გაგრძელდება, ორიოდე კვირის შემდეგ კი, 6 აპრილს, თბილისის სპორტის სასახლე სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებს.

ახლა თვით ასპარეზობის შესახებ. ჩემპიონატში ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდი მონაწილეობს. ვაჟებიცა და ქალებიც 2-2 ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. ქვეჯგუფებში გამარჯვებული 2-2 კოლექტივი ფინალურ ჯგუფებში განაგრძობს პირველობისთვის ბრძოლას.

ქვეჯგუფებში უკვე ჩატარდა ორ-ორი ტური ვაჟთა I ქვეჯგუფში გამართული მატჩებიდან ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა რუსთავისა და აჭარის ნაკრები კოლექტივების შეხვედრა. რუსთაველებმა პირველი ტაიმი ერთი გოლის სხვაობით მოიგეს (6.5). შესვენების შემდეგ მეტოქეებმა 5-5 ბურთი გაიტანეს და საბოლოოდ რუსთაველებმა პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის წყალობით გაიმარჯვეს — 11:10. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს (სპი) ტოლი არ დაუდო აჭარის ნაკრებმა, მაგრამ შეხვედრა მაინც მომავალმა ინჟინრებმა მოიგეს — 18:14 (7:5). დანარჩენ მატჩებში გამარჯვებულთა უპირატესობა დამაჯერებელი იყო: სპი — ფოთი 31:11 (17:7), რუსთავი — ფოთი 29:14 (17:8).

ვაჟთა II ქვეჯგუფში ლიდერობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში სძლია თბილისის განათლების განყოფილების კოლექტივს — 22:21 (15.11). მოსწავლეთა გუნდის წევრს გ. ბერიაშვილს შესაძლებლობა ჰქონდა მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ 7-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენა. სტუდენტებმა გაიმარჯვეს ქუთაისელებთანაც — 30:24 (15:12). დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: აფხაზეთი —. თბილისის განათლების განყოფილება 14:38 (6:19), ქუთაისი — აფხაზეთი 32:13 (18:5).

ქალთა I ქვეჯგუფში დაუმარცხებლად ლიდერობს თბილისის პედინსტიტუტის კოლექტივი, II ქვეჯგუფში — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მოგვყავს პირველი 2 ტურის შედეგები: I ქვეჯგუფი. რუსთავი — თბილისის განათლების განყოფილება 5:20 (1:10), თბილისის პედინსტიტუტი — თბილისის განათლების განყოფილება 13:11 (8:7), რუსთავი — აფხაზეთი 13:15 (7:7), თბილისის პედინსტიტუტი — აფხაზეთი 19:8 (12:5); II ქვეჯგუფი. ქუთაისი — სამხრეთ ოსეთი 8:11 (6:5), ქუთაისი — აჭარა 15:14 (6:6), სპი — სამხრეთ ოსეთი 36:10 (18:6), სპი — აჭარა 27:14 (15:7).

გუშინ, გვიან საღამოს, ქვეჯგუფებში უკანასკნელი მატჩები გაიმართა.

გ. ირინაული.

# ქალთა დღეს მიეძღვნა

8 მარტის ზეიმს მიეძღვნა თბილსრესის ქალთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და შაში. საერთო გუნდური პირველობა თბოძალოვანი გამართვისა და გამოცდის საამქროს კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზეა სამმართველოს, III — შარშანდელ სპარტაკიადაში გამარჯვებული — თბური ხელსაწყოების ავტომატიკის გამოთვლის საამქროს გუნდი.

გამარჯვებულნი საქარხნო კომიტეტისა და დირექციის პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ვ. ჯანეზაშვილი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული კვირა

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. **19-21 მარტი. საქართველოს პირველობა ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.** დასაწყისი 9 ს.

**მძლეოსნობა.** სპორტის სასახლე. **24 მარტი. XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რ. შავლაყაძის პრიზის გათამაშება.** მონაწილეობენ: ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. გავრილოვი, სპორტის ოსტატები ვ. სკვორცოვი, თ. მდივანი, ა. მოსპანოვი, ნ. საგანელიძე, ვ. ბოლშოვი, ა. ლაზარევა, ნ. ბრინცევა და სხვ. მთავარი მსაჯი — ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, პროფესორი ვ. მხვაცაპაია. დასაწყისი: ქალები — 17 ს., ვაჟები — 19 ს.

# 760 მონაწილე

თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის სპორტკლუბი „ისინდი“ ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში. ამას ადასტურებს ამას წინათ ამ სასწავლებელში გამართული სპარტაკიადაც, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრება მასობრიობით გამოირჩეოდა — სარბიელზე 760 სპორტსმენი გამოვიდა.

მეტად დაძაბულად წარიმართა კალათბურთელთა ორთაბრძოლები. შეხვედრები კარგად დაიწყეს 73-ე ჯგუფის სპორტსმენებმა: ოთხი შეხვედრიდან ოთხი მოგება! მაგრამ შემდეგ მათ მარცხი იწვნიეს და საბოლოოდ I ადგილი 53-ე ჯგუფის წარმომადგენლებს დაუთმეს.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა ველოსიპედისტთა შეჯიბრება. 5-კილომეტრიან დისტანციაზე 75 ველომრბოლელი ასპარეზობდა. ყველას აჯობა 51-ე ჯგუფის წარმომადგენელმა, ოსტატობის კანდიდატმა მ. იმნაძემ. გუნდური I ადგილიც ამ ჯგუფის მრბოლელებმა დაისაკუთრეს.

ა. ნიკონოვამ, რომელიც 67-ე ჯგუფის სახელს იცავდა, გაიმარჯვა 100 მეტრზე ბრასით და თავისუფალი სტილით ცურვაში.

ძალიან უფერულად ჩაიარა მძლეოსანთა შეჯიბრებამ, რომელსაც სულ 7 მონაწილე ჰყავდა. I ადგილი თითქმის უკონკურენციოდ დაიკავეს 53-ე ჯგუფის სტუდენტებმა.

სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა სწორედ ამ ჯგუფის სპორტსმენებმა მოიპოვეს.

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკუმის დირექტორს მ. ჯიბუტს.

ვ. ბუკინი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03101